საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 4 20 00291416

11/03/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
(მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6)

თქვენი 2020 წლის 24 თებერვლის წერილის N 2039/01 პასუხად დაბა სურამის გენერალური გეგმის პროექტისა და სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში წარმოგიდგენთ მოსაზრებებს აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. კერძოდ:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაბა სურამის სკოპინგის ფარგლებში, წინასწარულად შეფასებულია არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება, თუმცა ამ მიმართულებით განხილულია მხოლოდ სურამის ციხე და ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი, მაშინ როცა სკოპინგის დოკუმენტში აუცილებელია აღნიშნული გათვალისწინებულ იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ყველა ძეგლთან მიმართებით

- გენერალური გეგმის განვითარების კონცეფციაში ჩართული უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის ინდივიდუალური დამცავი ზონების რუკა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საფუძველია

- დოკუმენტში განიხილულ უნდა იქნას გენერალური გეგმის პროექტში წარმოდგენილი "ღირებული და სახასიათო შენობების" (რუკა N32) განვითარების სტრატეგია და განაშენიანების გეგმის მათზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება (სკოპინგი)

- საპროექტო არეალში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენის, შესწავლისა და შედეგების სათანადო აღწერა/შეფასების კვალიფიციურად განხორციელების მიზნით სასურველია, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფში ჩართული იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტი/ექსპერტები.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

ასევე, გიგზავნით სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პოზიციას დაბა სურამის გენერალური გეგმის პროექტისა და სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელსაც სრულად იზიარებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
ხარატიშვილი ლევან